ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725364001
თარიღი:30/12/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის

საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა N-04

დ.ლენტეხი. 25 დეკემბერი.2025წ

მიმდინარე წლის 25 დეკემბერს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 15(თხუთმეტი) წევრი, საპატიო მიზეზით არ ესწრება საკრებულოს 8(რვა) წევრი. (დასწრების ფურცელი) თან ერთვის.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გაზდელიანი, მერის მოადგილე ლევან ლიპარტელიანი, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი, საკრებულოს მოწვეული კონსულტანტები ამირან ლიპარტელიანი და ცოტნე ქურასბედიანი, საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი, აპარატის სპეციალისტები ნანი ბენდელიანი და ელისო გაზდელიანი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა სხდომის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.**

   /მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან ლიპარტელიანი/

2. **ა(ა)ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის ს/კ 434066128 სოფ. ჟახუნდრის კულტურის სახლის შენობის უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

   /მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 12 კვ.მ. ფართის უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

   /მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

4. **2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.**

/მომხს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

5. **2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.**

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ხუტა მუკბანიანი/

6. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის N-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელდარი ლიპარტელიანი/

7. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გაზდელიანი/

/თანამომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

8. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ/**

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გაზდელიანი/

/თანამომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

9. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია - საკრებულოს წევრის გოგი ონიანისთვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე .

/მომხს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგის პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროპექტი - 2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა აღნიშნულ საკითხზე. საკიხი მომზადდა თემების მაჟორიტარ დეპუტატებთან შეთანხმებით, რომლებმაც წარმოადგინეს მათ თემებში განსახორციელებელი პრიორიტეტები. საკითხი მრავალჯერადად იქნა განხილული საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე და დღეს გვაქვს შეჯერებული ვარიანტი.

   აზრი გამოთქვა: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა - აღნიშნულ საკითხზე შეჯერებული ვართ, უბრალოს გვაქვს თხოვნა, როცა იწყება პროექტების მომზადება, იყოს ჩვენი მხრიდან დეპუტატების მაქსიმალური ჩართულობა.

აზრი გამოთქვა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ მურმან ტვილდიანმა - გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ გარდამავალი პროექტები ჯამში შეადგენს დიდ თანხას, რაც აკლდება 2026 წლის პროექტების მთლიან თანხას, ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვიმუშაოთ, რომ ტენდერები დაიდოს დროზე და სამუშაოები არ გადავა ახალ წელში.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნამდვილად ითვალისწინებენ ამ მითითებას და ცდილობენ რომ დრო არ დაკარგონ. ამჟამად ტენდერზე დაიდო 5 პროექტი.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარემ დავით პირველმა - უნდა ვეცადოთ, რომ მაქსიმალურად ავითვისოთ პროექტებზე მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხები.

სხვა შენიშვნები საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი - 2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

დამტკიცდა განკარგულების პროექტი - 2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

2. მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტები;

1. **ა(ა)ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის ს/კ 434066128 სოფ. ჟახუნდრის კულტურის სახლის შენობის უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 12 კვ.მ. ფართის უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა ორივე საკითხი.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხები დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა მერს :

1. **ა(ა)ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის ს/კ 434066128 სოფ. ჟახუნდრის კულტურის სახლის შენობის უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემაზე და**

2.ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 12 კვ.მ. ფართის უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემაზე.

3. მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა სოზარ ბენდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - **2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის**

შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობის განკარგულებით 2026 წლამდე საჯარო მოხელეების და პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სახელფასო სარგოს მატება ხდება 10%-ით. შესაბამისად საბაზისო ხელფასის გათვალისწინებით დავიანგარისეთ თანამდებობრივი სარგოები და წარმოვადგინეთ დასამტკიცებლად პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - 2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

4. **მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი -** 2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობის განკარგულებით 2026 წლამდე საჯარო მოხელეების და პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სახელფასო სარგოს მატება გათვალისწინებულია 10%-ით. შესაბამისად თანამდებობრივი სარგოები საბაზისო ხელფასის გათვალისწინებით დავიანგარიშეთ და წარმოვადგინეთ დასამტკიცებლად პროექტი.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - 2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

5. **მოისმინეს:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელდარი ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის N-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა არნისნა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი სხდომაზე და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოხდეს გათანაბრება სხვა რაიონების უხელფასო დეპუტატების ხარჯებთან და განისაზღვროს არაუმეტეს 1089 ლარით.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი- ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის N-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

6. **მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი -** ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლები დაგეგმილია 17,507,300 ლარით.

გადასახადები 7,765,900 ლარით, საკუთარი შემოსავლები 550,000 ლარით. გრანტები 9,428,500ლარით:

1. რეგ. ფონდიდან გამოყოფილი თანხები 4,647,266 ლარი;

2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 604,000ლარით;

3. მიზნობრივი ტრანსფერი - 212,000 ლარით;

4. სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება 561,600 ლარი;

5. სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები 439,000ლარი;

6. საჯარო სკოლებისთვის ბრეკეტების შესაძენად 128,700 ლარით;

7. ლენტეხის მუნიციპალიტეტისა და ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმებული ხელსეკრულების მემორანდუმის საფუძველზე 350,000 ლარი, სულ 7 მუნიციპალიტეტი.

8. სპეც . ტრანსფერი 1,900,000 ლარი, 400 000ლარი დაგვიმატეს იანვარსი.

9. მოქალაქეთა ჩართულობა 127,000ლარი;

10. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 3,356,900 ლარს. სულ 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 21,074,200 ლარით:

    1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო 1 281,200 ლარით;

    2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია 4,439,200 ლარით. მათ შორის:

        შრომის ანაზღაურება 2,221,300 ლარი;

3.ა(ა).ი.პ თემებში მოსახლეობასტან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი 448,500 ლარით;

4. ინფრასტრუქტურის განვითარება 9,211,800 ლარი.

საგზაო ინფრასტრუქტურა 5,426,70.

წყლის სისტემებინ - 970,500

სანიაღვრე არხები - 322, 900

გარე განათება - 75,300

კეთილმოწყობა - 1,999,200

საპროექტო ტექ. დოკ. შედგენა -302,500

5. სოფლის მომსახურეობის ცენტრი - 173,500

6. დასუფთავების ღონისძიებები- 486,000

7. გარემოს დაცვა -262,000

8. სკოლამდელი განათლება - 1,396,000

9. კულტურა ახალგ. სპორტი - 2,321,400

10. ო. ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური ცენტრი - 111,300

11. ტურიზმის განვითარება -201, 900

12. სასპორტო სკოლები - 274,300

13. ბიბლიოთეკები -248,210

14. მუზეუმის დაფინანსება - 165,400

15. კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება- 872,500;

16. ჯ. მეშველიანის სახელობის აიპი -279,500;

17. ჯანმრთელობის დაცვა-241,300;

18. სოციალური დაცვა -335,700.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში.

7. **მოისმინეს:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა სრულად განავრცო წარმოდგენილი ბიუჯეტი:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსავლები დაგეგმილია 12, 321900 ლარით;

გადასახდელები- 8,386,800 ლარით;

დ.ღ.გ. 8.306.800 ლარით, ქონების გადასახადი 80 000ლარი;

მიზნობრივი ტრანსფერი 192,000 ლარი;

სხვა შემოსავლები 3 139 100 ლარი,

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 604, 000 ლარით;

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის გადასახდელები განისაზღვრა 12,321,900 ლარით:

1.მუნიციპალიტეტის საკრებულო -1 402,000;

2. მუნიციპალიტეტის მერია 3 507 100 ლარი;

3. თემები - 493, 300 ლარი;

4. ინფრასტრუქტურის განვიტარება 1294800ლარი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა -604,000 ლარი

საპროექტო დოკუმენტაცია -300000 ლარი;

გზები და ხიდები 150000ლარი

5. სოფლის მეურნეობის ცენტრი 190000ლარი;

6. დასუფთავების ღონისძიებები 524,00;

7. გარემოს დაცვა -288,000;

8. სკოლამდელი განათლება 1,585,200ლარი;

9.სპორტული ღონისძიებები -150000ლარი;

10.ო. ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური ცენტრი 116000 ლარი;

11.ტურიზმის განვითარება 228300ლარი;

12. სასპორტო სკოლები 271 200ლარი;

13. კულტურული ღონისძიებები 70 000 ლარი;

14.ბიბლიოთეკები - 272,800ლარი;

15. მუზეუმი -181 000ლარი;

16. კულტ.დაწესებულებათა გაერთიანება -922 000ლარი;

17.ჯ. მეშველიანის სახ. აიპი - 291 500 ლარი;

18. რელიგიური ორგანიზაციები ხელსეკრ.7,000 ლარი,

ჯანდაცვის აიპი 252 000ლარი;

19. სოციალური დაცვა -320 000ლარი.

დაისვა შეკითხვები:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ხუტა მუკბანიანი:

1)რა იგულისხმება სხვა შემოსავლებში?

მომხსენებელმა განმარტა, რომ სხვა შემოსავლებში იგულისხმება ყველა სახის მოსაკრებელი.

ცირო ლიპარტელიანი:

1) რამდენით იზრდება სოციალურის მიმართულებით ბიუჯეტი?

   პასუხი: 2025 წელს იყო 260000ლარი და გაიზარდა 60000ლარით.

2) ბაღების პრობლემები თუ არის სათანადო დონეზე წინ წამოწეული?(გამოწვევებს თუ უპასუხებს?)

   პასუხი: რომ მაქსიმალურად ვცდილობთ ბაღების ხელშეწყობას.

მარეხი ონიანი: ა(ა)ი.პირებში თუ არის გათვალისწინებული სახელფასო სარგოების მატება?

პასუხი: რომ ყველა აიპში გათვალისწინებულია 10%-იანი მატება.

მურმან ტვილდიანი: წინ წამოსაწევი თემაა გარე განათების ხარჯების შემცირება. ძალიან დიდი თანხა მიდის და უნდა მოვიფიქროთ გამოსავალი.

დათო ფურელიანი: უნდა გადავიდეთ მზის ბატარიებზე. სოფლის პროგრამების შერჩევის დროს შევთავაზოთ სოფლის მოსახლეობას ეს ვარიანტი.

სხდომის წევრებმა მოიწონეს აღნიშნული იდეა.

კითხვა დასვა პარტია ,,გახარია საქართველოსთვის“ წევრმა ნინო ბენდელიანმა: აიპიებში ხდება შეკვეცები, ადგილობრივი მოსახლეობიდან დასაქმებულები, რომლებიც იყვნენს სოც. პროგრამაში ჩართულები და აიპიებში დასაქმებულები ზარალდებიან და მაინტერესებს გამოსავალს რაში ხედავთ?

პასუხად მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ მთავრობა ცდილობს აღნშსნული პროგრამა ჩაანაცვლოს სხვა პროგრამით, რომ არ დაზარალდეს მოსახლეობა. რაც შეეხება ოპტიმიზაციის პროცესს ჩვენს რაიონში, ვცდილობთ გავაერთიანოთ აიპიები და ყველა დასაქმებულს შევძინოთ ფუნქცია.

ნინო ბენდელიანმა გამოხატა კმაყოფილება ადგილობრივი ხელმძღვანელობის გულისხმიერი დამოკიდებულების მიმართ.

კითხვა დასვა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ელდარი ლიპარტელიანმა: ჩვენი მუნიციპალიტეტი ახალ საბიუჯეტო წელიწადს იწყებსდეფიციტით და გვაინტერესებს ადგილობრივი ხელმძღვანელობა რაში ხედავს გამოსავალს, რა პოტენციალი უნდა გამოვიყენოთ, რომ ამოვიდეთ ამ ფინანსური კრიზისიდან.

პასუხად მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ ეს არის ძალიან საინტერესო და კარგი კითხვა. ვმუშაობთ ათწლიან გეგმაზე და გვაქვს დაგეგმილი უსაფრთხო ინვესტიციების ჩადება. დაგეგმილია ლენტეხი-მესტიას დამაკავშირებელი გვირაბის გაკეთება, იმედი გვაქვს რომ განხორციელდება გაზიფიკაციის პროექტიც, არის მსჯელობა ლენტეხი-მარტვილის დამაკავშირებელი გზის გაკეთებაზე, ყველაფერი ეს კი იმოქმედებს ტურიზმის განვითარებაზე. პოტენციალი საკმაოდ დიდია და უნდა ვიმუშაოთ მაქსიმალურად ამ კუთხით.

კითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარემ დავით პირველმა: საჯარო მოხელეებისთვის საკლასო ჩინების მინიჭებაზე თუ არის თანხა გათვალისწინებული 2026 წლის ბიუჯეტში?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს თანხა ბიუჯეტში გათვალისწინებულია.

კითხვების მაოწურვის სემდეგ სხდომის თავმჯდომმარემ 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი სახით.

8. მოისმინეს: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია - საკრებულოს წევრის გოგი ონიანისთვის პირადი განცხადების საფუძველზე საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35 მუხლის მე-16 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით მიმდინარე წლის 23 დეკემბერს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა საკრებულოს წევრის გოგი ონიანის განცხადება -საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

სამანდატო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: საკითხი გოგი ონიანისთვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე გამოტანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე .

სხდომის წევრებმა ცნობად მიიღეს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია - საკრებულოს წევრის გოგი ონიანისთვის პირადი განცხადების საფუძველზე საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

სხდომის ბოლოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გაზდელიანმა და საკრებულოს თავმჯდომარემ დავით პირველმ სხდომის წესვრებს, დამსწრე საზოგადოებას და მთლიანად ჩვენს ქვეყანას მიულოცეს დამდეგი ახალი წელი და უსურვეს ბედნიერი და წარმატებული ახალი წელი..

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დასრულდა 13 საათზე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი